

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეოთხე სექცია

საქმე კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ

(საჩივარი ნო. 2872/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2008 წლის 2 დეკემბერი

საბოლოო

02/03/2009

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება დაექვემდებაროს სარედაქციო გადახედვას

წინამდებარე საქმეზე კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეოთხე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატცა, *პრეზიდენტი*

ლეს გარლიკი,

ჯოვანი ბონელო,

ლილიანა მიიოვიჩი,

დევიდ თორ ბიორგვინსონ,

იან შიკუტა,

პაივი ჰირველა, *მოსამართლეები*

და ლორანს ერლი, *სასამართლო გამწესრიგებელი*,

2008 წლის 13 ნოემბერს განმარტოებით ითათბირა,

გამოაქვს შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ამავე დღეს:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (ნო. 2872/02) ფინეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის ("კონვენცია") 34-ე მუხლის შესაბამისად, 2002 წლის 1 იანვარს სასამართლოში შეიტანა ფინეთის მოქალაქემ ("მომჩივანი"). პალატის პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე დაკმაყოფილებულ იქნა მომჩივნის მოთხოვნა არ გამხელილიყო მისი სახელი (სასამართლო რეგლამენტის მუხლი 47 § 3).
2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი პ. ჰუტუნენუ, ადვოკატი, რომელიც პრაქტიკას ჰელსინკში ეწევა. ფინეთის მთავრობა ("მთავრობა") წარმოდგენილი იყო მისი აგენტის, ბ-ნი არტო კოსონენის მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროდან.
3. მომჩივანი ჩიოდა, რომ სახელმწიფომ ვერ განახორციელა მისი პოზიტიური ვალდებულება დაეცვა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად.
4. 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებით სასამართლომ საჩივარი მისაღებად მიიჩნია.
5. მომჩივანმა, ისევე როგორც მთავრობამ წარმოადგინეს წერილობითი არგუმენტები (მუხლი 59§1). პალატამ მხარეებთან კონსულტირების შემდეგ გადაწყვიტა, რომ

საჭირო არ გახლდათ მოსმენის ჩატარება საქმის არსებით მხარეზე (მუხლი 59§3 in fine), მხარეებმა წარმოადგინეს წერილობითი პასუხები ურთიერთის არგუმენტებზე. დამატებით, მიღებულ იქნა მესამე მხარის, ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდის კომენტარები, რომელსაც პრეზიდენტმა მიანიჭა წერილობით პროცედურაში ჩართვის უფლება (მუხლი 36 §2 და მუხლი 44§ 2).

ფაქტები

I. საქმის გარემოებანი

6. მომჩივანი დაიბადა 1986 წელს.
7. 1999 წლის 15 მარტს უცნობმა პიროვნებამ ან პიროვნებებმა მომჩივნის სახელით ინტერნეტით განათავსეს განცხადება პაემნების ვებ-გვერდზე. აღნიშნული დროისათვის მომჩივანი 12 წლის გახლდათ და მან ამ განცხადების შესახებ არაფერი იცოდა. განცხადება აღნიშნავდა მის ასაკს და დაბადების წელს, დეტალურად აღწერდა მის ფიზიკურ მონაცემებს და იმ დროისათვის ვებ-გვერდზე დადებულ ბმულზე ატვირთული გახლდათ მისი სურათი, ისევე როგორც მისი ტელეფონის ნომერი, რომელიც ერთი ციფრის განსხვავებით ემთხვეოდა მის ნამდვილ ნომერს. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ იგი ინტიმურ ურთიერთობებს ეძებდა მისი ასაკის ან უფროს ბიჭთან, რომელიც მას "გზას უჩვენებდა".
8. მომჩივანმა ინტერნეტით გაკეთებული განცხადების შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც მიიღო ელ-ფოსტა მამაკაცისაგან, რომელიც მას შეხვედრას სთავაზობდა და "შემდეგ კი ნახავდა რა სურდა მას".
9. მომჩივნის მამამ პოლიციას მოთხოვა დაედგინა იმ პირის ვინაობა, ვინც განათავსა განცხადება, რათა ეჩივლა აღნიშნული პირისათვის. სერვისი პროვაიდერმა მას უარი განუცხადა გაემხილა ე.წ. დინამიური I.P მისამართის მფლობელის ვინაობა, რადგანაც იგი ვალდებული გახლდათ დაეცვა კონფიდენციალურობა სატელეკომუნიკაციო კანონის შესაბამისად.
10. პოლიციამ შემდეგ მიმართა ჰელსინკის საოლქო სასამართლოს (*käräjäoikeus, tingsrätten*) და სთხოვა ეიძულებინა სერვისის პროვაიდერი გაემხილა მოცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საგამომძიებო აქტის (*esitutkintalaki, förundersökningslagen*; ACT N.449/1987, შესწორებული ACT N.692/1997) 28-ე მუხლის საფუძველზე.
11. 2001 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილებით, საოლქო სასამართლომ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, რადგანაც არ არსებობდა არც ერთი სამართლებრივ პირდაპირი ნორმა, რომლის საფუძველზეც იგი სატელეკომუნიკაციო

საიდენტიფიკაციო მონაცემების გამხელას მოთხოვდა სერვისის პროვაიდერს პროფესიული საიდუმლოების დარღვევის გზით. სასამართლომ აღნიშნა, რომ იძულებითი ღონისძიებების აქტის მე-5ა თავის, მე-3 ნაწილის მიხედვითა (*pakkokeinolaki, tvångsmedelslagen* ACT N.450/1987) და ტელეკომუნიკაციებში პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის აქტის მე-18 მუხლის (*laki yksityisyydensuojasta televiestinnässä ja teletoiminnan tietoturva, lag om integritetsskydd vid telekommunikation och dataskydd inom televerksamhet*; ACT N.565/1999) საფუძველზე, პოლიცია უფლებამოსილი გახლდათ მიეღო სატელეკომუნიკაციო საიდენტიფიკაციო მონაცემები ცალკეულ დანაშაულებთან დაკავშირებით, მიუხედავად საიდუმლოების ვალდებულებისა. თუმცა, ბოროტი განზრახვით არასწორი ინტერპრეტაცია ასეთ დანაშაულთა რიცხვს არ განეკუთვნებოდა.

12. 2001 წლის 14 მარტს სააპელაციო სასამართლომ (*hovioikeus, hovrätten*) ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, ხოლო 2001 წლის 31 აგვისტოს უზენაესმა სასამართლომ (*korkein oikeus, högsta domstolen*) უარი განაცხადა სარჩელის განხილვაზე.
13. პირი, რომელიც გამოეხმაურა პაემნის განცხადებას და დაუკავშირდა მომჩივანს, დადგენილ იქნა მისი ელ-ფოსტის საშუალებით.
14. ინტერნეტ სერვისის მომწოდებელი კომპანიის მმართველი დირექტორის ბრალდება ვერ მოხერხდა, რადგანაც 2001 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებში პროკურორმა დაადგინა, რომ სავარაუდო დანაშაული ხანდაზმული გახლდათ. სავარაუდო დარღვევა წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემთა აქტის (*henkilötietolaki, personuppgiftslagen*; ACT N.523/99, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივნისს) დარღვევას. კერძოდ კი სერვის პროვაიდერის მიერ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური განცხადება მის გვერდზე განთავსდა გამომგზავნის ვინაობის დადგენის გარეშე.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

15. ფინეთის საკონსტიტუციო აქტი (*Suomen hallitusmuoto, Regeringsform för Finland*; ACT N.94/1919, შეიცვალა ACT N.969/1995) ძალაში გახლდათ 2000 წლის 1 მარტამდე. მისი მე-8 ნაწილი შეესაბამება ახლა მოქმედი ფინეთის კონსტიტუციის (*Suomen perustuslaki, Finlands grundlag*; ACT N.731/1999) მე-10 მუხლს, რომლიც აღნიშნავს, რომ ყოველი პირის პირადი ცხოვრების უფლება დაცულია.
16. იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე თავის მე-3 მუხლი (*rikoslaki, strafflagen*; ACT N.908/1974) აღნიშნავდა შემდეგს:

"პირი, რომელიც ზემოთმითითებული ზომების გარდა სხვა ფორმით განახორციელებს მეორე პირის წინააღმდეგ შეურაცმყოფელი განცხადების ბოროტი განზრახვით დამახინჯებას, მუქარას ან სხვა შეურაცმყოფელ ქმედებას, მსჯავრდებული იქნება ბოროტი განზრახვით ინფორმაციის დამახინჯებაში და დაეკისრება ჯარიმის გადახდა ან მაქსიმუმ სამი თვით პატიმრობა.

თუკი ბოროტი განზრახვით ინფორმაციის დამახინჯება ჩადენილი იქნება საჯაროდ ან ბეჭდვით, წერილობით ან გრაფიკული გამოსახულების გავრცელებით დამნაშავე მხარის მიერ, ან რომელსაც გამოიწვევს დამნაშავე მხარე, პასუხისმგებელი პირი დაჯარიმდება ან დაექვემდებარება პატიმრობას მაქსიმუმ ოთხი თვის ვადით."

17. იმ დროისათვის მოქმედი იძულებითი ღონისძიებების აქტის მე-5ა თავის მე-3 მუხლის მიხედვით განისაზღვრებოდა შემდეგი:

"სატელეკომუნიკაციო მონიტორინგის წინაპირობები

როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ადგილი აქვს:

- 1) დანაშაულს, რომელიც ისჯება პატიმრობით ოთხ თვეზე ნაკლები ვადით,
- 2) დანაშაულს კომპიუტერული სისტემის წინააღმდეგ ტერმინალური დანადგარის გამოყენებით, ნარკოტიკულ დანაშაულებს ან
- 3) ზემორე ნაწილში მითითებული დანაშაულის დასჯად მცდელობას

სისხლისსამართლებრივი გამოძიების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია დააწესოს ექვმიტანილის საკუთრებაში არსებული ან სხვაგვარად მის მიერ გამოყენებადი სატელეკომუნიკაციო კავშირის მონიტორინგი, ან დროებით შეაჩეროს სატელეკომუნიკაციო კავშირი, თუკი მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია ან კავშირის შეჩერება შესაძლებელია მნიშვნელოვნად ჩაითვალოს დანაშაულის გამოსაძიებლად..."

18. ტელეკომუნიკაციებში პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის აქტის მე-18 მუხლი, ნაწილი 1(1), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს და გაუქმდა 2004 წლის 1 სექტემბერს აღნიშნავს შემდეგს:

"მე-7 მუხლში მითითებული საიდუმლოების ვალდებულების მიუხედავად, პოლიცია უფლებამოსილია მიიღოს:

- (1) ცალკეული ტრანსკიბერ კავშირების საიდენტიფიკაციო მონაცემები დაზარალებული მხარისა და კავშირის ხელმოწერის ნებართვის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 თავის მე-9 მუხლში, მე-17 თავის 13(2) მუხლსა თუ 24-ე თავის 3 მუხლში მითითებული დანაშაულების გამოსაძიებლად (ACT N.39/1889) ..."

19. პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტის 48-ე ნაწილის მიხედვით სერვისის პროვაიდერს გააჩნია სისხლისსამართლებრივი ვალდებულება დაადგინოს გამგზავნის ვინაობა მანამდე, სანამ მოახდენს ცილისმწამებლური განცხადების განთავსებას საკუთარ ვებ-საიტზე. 47-ე ნაწილის მიხედვით სერვისის პროვაიდერი პასუხისმგებელია ზიანზეც.
20. იმ დროისათვის, სექსუალურ ქმედებასთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება ინტერნეტ სერვერზე სუბიექტის ნებართვის გარეშე ისჯებოდა, როგორც მონაცემთა დაცვის დანაშაული პერსონალური ფაილების აქტის 43-ე ნაწილისა (ACT N.630/1995) და სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე ნაწილის მე-9 მუხლის (ACT N.578/199) შესაბამისად და ამასთანავე ითვლებოდა პერსონალური ფაილების აქტის 44-ე ნაწილით მონაცემთა დაცვის დარღვევად. მეტიც, მის საფუძველზე შესაძლებელია დადგენილიყო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ხსენებული აქტის 42-ე ნაწილის საფუძველზე.
21. მასმედიაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის აქტის მე-17 ნაწილი (*laki sanavapauden käyttämisestä joukkoviestinnässä, lagen om yttrandefrihet i masskommunikation*: ACT N.460/2003), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს მიუთითებს შემდეგს:

"ქსელური შეტყობინების საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გაცემა

დაკავების, საჯარო დევნის ოფიციალური განმახორციელებლის ან დაზარალებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ შესაძლებელია მოითხოვოს გადამცემის, სერვერის ან სხვა მსგავსი დანადგარის მქონე პირის მიერ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საჭიროა სექსუალური შეტყობინების გამგზავნის საიდენტიფიკაციოდ, იმ პირობით, რომ არსებობს გონივრული საფუძველი მივიჩნიოთ, რომ შეტყობინების შინაარსი იმგვარია, რომ მისი საჯარო გავრცელება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს. თუმცა, დაზარალებული მხარისათვის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია უფლება მოითხოვოს დანაშაულისათვის გასამართლება. მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს საოლქო სასამართლოში დანადგარის მქონე პირის მისამართის მიხედვით ან ჰელსინკის საოლქო სასამართლოში შესაბამისი შეტყობინების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში. სასამართლომ ბრძანება შესაძლებელია გაამყაროს ჯარიმის მუქარით."

III. შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტები

ა. ევროპის საბჭო

22. ბოლო ათწლეულებში სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ახალი ტიპის დანაშაულების წარმოშობა, ისევე როგორც ტრადიციული დანაშაულების ახლებური მეთოდებით ჩადენა. ევროპის საბჭო იაზრებდა საჭიროებას ადექვატურად და სწრაფად ეპასუხა მოცემული გამოწვევისათვის. ჯერ კიდევ 1989 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია რ(89)9 კომპიუტერთან დაკავშირებულ დანაშაულის შესახებ. მიზნად ისახავდა რა უზრუნველყო, რომ საგამომიებო ხელისუფლებას ჰქონოდა შესაბამისი სპეციალური უფლებამოსილებანი გამოეძიებინა კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები, 1995 წელს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია რ(95)13, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის პრობლემებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში. მიღებული პრინციპების მე-12 პუნქტში, მათ რეკომენდაცია გასცეს მასზედ, რომ:

"სერვისის პროვაიდერებზე, რომლებიც საზოგადოებას საჯარო ან კერძო ქსელების საშუალებით სთავაზობენ სატელეკომუნიკაციო სერვისებს, დაეკისროთ კონკრეტული ვალდებულებანი, რათა წარმოადგინონ ინფორმაცია მომხმარებლის ვინაობის შესახებ, კომპეტენტური საგამომიებო ორგანოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში."

23. მეორე პრინციპი, რომელიც ეხებოდა საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, აღნიშნავდა შემდეგს:

"9. შესაბამისი სამართლებრივი პრივილეგიებისა თუ დაცვის გათვალისწინებით, სამართლებრივ სისტემათა უმრავლესობა საგამომიებო ორგანოებს ნებას რთავს უბრძანონ პირებს გადასცენ მათ კონტროლს ქვეშ არსებული ის ობიექტები, რომლებიც საჭიროა მტკიცებულებად. ანალოგიურად, უნდა შემუშავდეს დებულებები, რომლის საფუძველზეც მოხდება პირებისათვის მოთხოვნის წარდგენა მათ კონტროლს დაქვემდებარებული, კომპიუტერულ სისტემაში არსებული ნებისმიერი კონკრეტული მონაცემის წარსადგენად იმ ფორმით, რაც მოთხოვნილი გახლდათ საგამომიებო ორგანოს მიერ.

10. შესაბამისი სამართლებრივი პრივილეგიებისა თუ დაცვის გათვალისწინებით, საგამომიებო ორგანოებს უნდა ჰქონდეს უფლება მოთხოვონ პირებს, რომლებიც საკუთარ კონტროლს ქვეშ ფლობენ კომპიუტერულ სისტემაში არსებულ მონაცემებს, წარმოადგინონ ყველა საჭირო ინფორმაცია, რათა შესაძლებელი გახდეს კომპიუტერულ სისტემაზე და მასში არსებულ მონაცემებზე წვდომა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მსგავსი ბრძანების გაცემა შესაძლებელი იყოს იმ სხვა პირებზეც, რომლებსაც გააჩნიათ ცოდნა კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების ან მასში შენახულ მონაცემთა შესახებ."

24. 1996 წელს, დანაშაულის პრობლემების შესახებ ევროპულმა კომიტეტმა შექმნა ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც იმუშავებდა კიბერდანაშაულებზე. იგრძნობოდა, რომ მართალია მიღებული გახლდათ ორი რეკომენდაცია არსობრივ და პროცედურულ საკანონმდებლო საკითხებზე, მხოლოდ სავალდებულო საერთაშორისო ინსტრუმენტი მოახერხებდა საჭირო ეფექტურობის უზრუნველყოფას კიბერ-დანაშაულთან ბრძოლაში. 2001 წლის 23 ნოემბერს ხელმოსაწერად გაიხსნა კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, რომელიც ძალაში 2004 წლის 1 ივლისს შევიდა. იგი გახლავთ პირველი და ერთადერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ინტერნეტით ჩადენილ დანაშაულებზე, რომელიც ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის. კონვენცია სახელმწიფოებს ავალდებულებს სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნიონ შემდეგი ქმედებები: კომპიუტერულ სისტემაზე უკანონო წვდომა, კომპიუტერული მონაცემების უკანონო წვდომა, ჩარევა მონაცემებში ან კომპიუტერულ სისტემაში, დანადგარების ბოროტად გამოყენება, კომპიუტერთან დაკავშირებული გაყალბება და თაღლითობა, ბავშვთა პორნოგრაფია, საავტორო და დაკავშირებულ უფლებათა დარღვევა. 2003 წელს მიღებული კონვენციის დამატებითი ოქმი მოითხოვს სიძულვილის მოღალადე გამოსვლის, ქსენოფობიისა და რასიზმის დასჯადობას. კონვენციის პროცედურული დებულებების მასშტაბი ცდება კონვენციით განმარტებულ დანაშაულებს, იმდენად რამდენადაც ვრცელდება ნებისმიერ დანაშაულზე, რომელიც ჩადენილია კომპიუტერული სისტემის დახმარებით:

"მუხლი 14 - პროცედურულ დებულებათა მასშტაბი

1. ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომელიც შესაძლებელია საჭირო იყოს მოცემულ ნაწილში ჩამოყალიბებული უფლებამოსილებისა და პროცედურის განსახორციელებლად კონკრეტული სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა თუ საქმისწარმოების მიზებისათვის.

2. ... ყოველი მხარე ვალდებულია გამოიყენოს მოცემული მუხლის 1 ნაწილში ხსენებული უფლებამოსილებანი და პროცედურა შემდეგი მიზნებისათვის:

ა). მოცემული კონვენციის მე-2 - მე-11 მუხლებში დადგენილი სისხლის სამართლის დანაშაულების დასადასტურებლად.

ბ). სხვა სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის, რომელიც ჩადენილია კომპიუტერული სისტემის საშუალებით; და

გ) სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულებათა შეგროვება ელექტრონული ფორმით.

3. ..."

25. პროცედურული უფლებამოსილებანი მოიცავს შემდეგს: შენახულ მონაცემთა დაჩქარებული შენახვა, ტრაფიკის მონაცემების დაჩქარებული შენახვა და

ნაწილობრივი გამჟღავნება, კომპიუტერულ მონაცემთა წარმოდგენის, ჩხრეკისა და ჩამორთმევის ბრძანება, ტრაფიკის მონაცემების რეალურ დროში შეგროვება და მონაცემთა შინაარსის ჩამორთმევა. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა უფლება მოთხოვო სერვისის პროვაიდერს წარმოადგინოს მის სერვისებზე ხელმომწერი პირის შესახებ ინფორმაცია; მართლაც, განმარტებითი ანგარიში აღწერს იმ სირთულეებს, რომელიც წარმოიშობება ხოლმე დამნაშავეს დასადგენას, წარმოადგენს რა ეს უკანასკნელი ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას ქსელურ გარემოში დანაშაულის დასამარცხებლად:

"მუხლი 18 - წარმოდგენის ბრძანება

1. ყოველი მხარე ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაბამის ორგანოს მიეცემა საშუალება მოითხოვოს შემდეგი:

ა). მის ტერიტორიაზე მყოფ პირს მოთხოვოს მის მფლობელობაში არსებული ან კონტროლს დაქვემდებარებული კონკრეტული კომპიუტერული ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც ინახება კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შენახვის საშუალებაში; და

ბ). სერვის პროვაიდერმა, რომელიც საკუთარ სერვისებს სთავაზობს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, წარმოადგინოს ხელმომწერთა შესახებ ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მოცემული სერვისის პროვაიდერის ხელთ არსებულ ან მის კონტროლს დაქვემდებარებულ და მის მიერ გაწეულ სერვისებს.

2. წინამდებარე მუხლში გაწერილი უფლებამოსილებანი და პროცედურა ექვემდებარება მე-14 და მე-15 მუხლებს.

3. მოცემული მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი "ხელმომწერის ინფორმაცია" გულისხმობს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მითითებულია კომპიუტერულ მონაცემთა ფორმაში ან ნებისმიერი სხვა ფორმით ინახება სერვისის პროვაიდერთან და უკავშირდება მისი სერვისების ხელმომწერს, გარდა ტრაფიკისა და მონაცემთა შინაარსისა. მისი დახმარებით შესაძლებელია დადგინდეს:

ა). გამოყენებული კომუნიკაციის სერვისის სახეობა, ტექნიკური მიწოდების საკითხები და სერვისის ხანგრძლივობა;

ბ). ხელმომწერის ვინაობა, საფოსტო თუ გეოგრაფიული მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია, გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია სერვისის შეთანხმების თუ სხვა გარიგების საშუალებით;

გ). საიტზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია საკომუნიკაციო დანადგარის ინსტალაციასთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია სერვისის შეთანხმების თუ სხვა გარიგების საფუძველზე."

26. განმარტებითი ბარათი აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის გამოძიების დროს ხელმომწერის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია საჭირო იყოს ძირითადად ორ ვითარებაში. პირველი, რათა დავადგინოთ თუ რომელი სერვისები და მასთან დაკავშირებული ტექნიკური ზომები იქნა გამოყენებული ან გამოიყენება ხელმომწერის მიერ, მაგალითად სატელეფონო სერვისის სახეობა, გამოყენებული ასოცირებული სერვისების სახეობა (მაგალითად ზარის გადამისამართება, ხმოვანი ფოსტა), სატელეფონო ნომერი ან სხვა ტექნიკური მისამართი (მაგალითად ელ-ფოსტის მისამართი). მეორე, როდესაც ცნობილია ტექნიკური მისამართი, ხელმომწერის შესახებ ინფორმაცია საჭიროა რათა დაგვეხმაროს მოცემული პირის ვინაობის დადგენაში. წარმოდგენის ბრძანება გახლავთ შედარებით ნაკლებად ჩარევადი და მძიმე ფორმა, რომლის გამოყენებაც სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ ნაცვლად ისეთი ზომებისა, როგორიც გახლავთ მონაცემთა შინაარსის მოპოვება და ტრაფიკის რეალური დროით გადაცემული მონაცემების შეგროვება, რომელიც უნდა და შეიძლება გამოიყენებოდეს მხოლოდ სერიოზული დანაშაულების დროს (მუხლი 20 და 21).
27. 2008 წლის 1-2 აპრილს, სტრასბურგში ჩატარებულ გლობალურ კონფერენციაზე "თანამშრომლობა კიბერდანაშაულის წინააღმდეგ" მიღებულ იქნა "სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტ სერვისების პროვაიდერებს შორის, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ თანამშრომლობის სახელმძღვანელო პრინციპები". მისი მიზანი გახლავთ დაეხმაროს სამართალდამცავ ორგანოებს და ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს მოახდინოს მათი ურთიერთობის სტრუქტურირება კიბერდანაშაულთან დაკავშირებით. კიბერ-უსაფრთხოების გასაძლერებლად და სერვისების უკანონო მიზნებისათვის გამოყენების შესამცირებლად, აუცილებლად იქნა მიჩნეული ორ მხარეს შორის ეფექტური თანამშრომლობა. სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამენ პრაქტიკულ ზომებს, რომელიც მიღებულ უნდა იქნას სამართალდამცავი ორგანოებისა და სერვისის პროვაიდერების მიერ, რათა ხელი შეუწყოს ურთიერთშორის ინფორმაციის გაცვლას რათა გააძლიერონ საკუთარი უნარი დაადგინონ და ებრძოლონ აღმოცენებად კიბერდანაშაულის სახეობებს. კერძოდ კი, მოხდა სერვისის პროვაიდერების წახალისება ეთანამშრომლათ სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა დახმარებოდნენ შეემცირებინათ სერვისების კანონით განსაზღვრული კრიმინალური საქმიანობებისათვის გამოყენების საშუალება.

ბ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

28. კიბერსფეროში მიღებულ რამდენიმე რეზოლუციას შორის, წინამდებარე საქმის მიზნებისათვის, ყველაზე საინტერესო გახლავთ გენერალური ასამბლეის 2000 წლის 4 დეკემბრის რეზოლუცია 55/63 და 2001 წლის 19 დეკემბრის რეზოლუცია 56/121

"საინფორმაციო ტექნოლოგიების კრიმინალური მიზნებისათვის ბოროტად გამოყენების დამარცხების შესახებ". ბოროტად გამოყენების დამარცხების ზომებს შორის რეზოლუცია 55/63 რეკომენდაციას იძლეოდა რომ:

"(ვ) სამართლებრივი სისტემები უნდა იძლეოდნენ საშუალებას მოხდეს ცალკეული კრიმინალური გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ელექტრონული მონაცემების შენახვა და მათზე წვდომა."

29. შემდგომი რეზოლუცია აღნიშნავდა სხვადასხვა ზომების მნიშვნელობას და ისევ, სთავაზობდა წევრ სახელმწიფოებს გაეთვალისწინებინა ეს უკანასკნელი.

გ. ევროპის კავშირი

30. 2006 წლის 15 მარტს ევროპის პარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ მიიღეს დირექტივა 2006/24/EC იმ მონაცემთა შენახვის შესახებ, რომელიც მიღებული ან დამუშავებული გახლდათ საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებიდან. მოცემულმა დირექტივამ ჩაანაცვლა აქამდე მოქმედი მონაცემთა შენახვის შეახებ არსებული დირექტივა 2002/58/EC. დირექტივის მიზანი გახლავთ წევრ სახელმწიფოებში მოქმედ იმ დებულებათა ჰარმონიზება, რომელიც ეხება კომუნიკაციების პროვაიდერების ვალდებულებებს ცალკეული მონაცემების შენახვის მხრივ, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ მონაცემები ხელმისაწვდომი გახლდეთ სერიოზული დანაშაულის ირგვლივ გამოძიების, დადგენისა და პასუხისგებაში მიცემისათვის, როგორც ეს განმარტებულია ყოველი წევრ სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაში. იგი ვრცელდება ტრაფიკსა და მდებარეობის მონაცემებზე როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების შემთხვევაში, ისევე როგორც იმ მონაცემებზე, რომლებიც საჭიროა ხელმოძღვრისა თუ რეგისტრირებული მომხმარებლის საიდენტიფიკაციოდ. იგი არ ვრცელდება ელექტრონული კომუნიკაციის შინაარსზე. დირექტივა ითხოვს, რომ წევრ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ მონაცემთა გარკვეული კატეგორიის შენახვა ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით. მე-5 მუხლი აკონკრეტებს თუ რა მონაცემები უნდა იქნას შენახული:

"1. წევრ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შემდეგი კატეგორიის მონაცემები შენახული იქნება მოცემული დირექტივის ფარგლებში:

(ა) მონაცემები, რომელიც აუცილებელია კომუნიკაციის წყაროს კვალისა და ვინაობის დასადგენად:

...

(2) ინტერნეტ კავშირთან, ინტერნეტ ელ-ფოსტასა და ინტერნეტ ტელეფონთან დაკავშირებული მონაცემები:

...;

(iii) ხელმომწერის ან რეგისტრირებული იმ მომხმარებლის სახელი და მისამართი, რომელზეც გაიცა ინტერნეტ პროტოკოლის (IP) მისამართი, მომხმარებლის ID ან სატელეფონო ნომერი კომუნიკაციისას;"

31. წევრ სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ 2007 წლის 15 სექტემბრამდე მოეხდინათ დირექტივის იმპლემენტაცია. თუმცა, 16 სახელმწიფომ, მათ შორის ფინეთმა, ისარგებლეს გადავადების უფლებით, რათა გადაედოთ ინტერნეტ წვდომის, ინტერნეტ ტელეფონისა და ინტერნეტ ელ-ფოსტის აპლიკაცია 2009 წლის 15 მარტამდე.

IV. შედარებითი სამართალი

32. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანათა უმრავლესობაში სატელეკომუნიკაციო სერვისების პროვაიდერებისათვის დადგენილია კონკრეტული ვალდებულება წარმოადგინონ კომპიუტერული მონაცემები, მათ შორის ხელმომწერის ინფორმაცია, საგამომძიებო ან სასამართლო ხელისუფლების მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, მიუხედავად დანაშაულის ბუნებისა. რიგ ქვეყნებს გააჩნიათ მხოლოდ ზოგადი დებულებები დოკუმენტებისა და სხვა მონაცემების წარმოდგენასთან დაკავშირებით, რომელიც პრაქტიკაში ვრცელდება კონკრეტული კომპიუტერული და ხელმომწერის მონაცემების წარმოდგენის ვალდებულებებზე. რამდენიმე ქვეყანას ჯერ არ მოუხდენია ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ კონვენციის მე-18 მუხლის დებულებათა იმპლემენტაცია.

V. მესამე მხარის არგუმენტები

33. ადამიანის უფლებათა ჰელსინკის ფონდმა აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე ეხება ბალანსს ერთი მხრივ პირადი ცხოვრების, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვის, მეორეს მხრივ კი გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ინტერესებს შორის. მათი აზრით, განსახილველი საქმე სასამართლოს სთავაზობს საშუალებას განსაზღვროს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი მოცემულ სფეროში და ამგვარად ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოებში ზოგადი სტანდარტის დამკვიდრებას ინტერნეტით სარგებლობისას.

34. მათ აღნიშნეს, რომ ინტერნეტი წარმოადგენს კომუნიკაციის ერთობ განსაკუთრებულ მეთოდს და მისი გამოყენების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი ანონიმურობა გახლავთ. ანონიმურობის მაღალი დონე ხელს უწყობს თავისუფალი აზრისა და სხვადასხვა იდეების გამოხატვის თავისუფლებას. მეორეს მხრივ, ინტერნეტი გახლავთ ცილისწამების, ხალხის შეურაცყოფისა და სხვათა პირადი ცხოვრების დარღვევის მძლავრი საშუალება. ინტერნეტის ანონიმურობის გამო, დარღვევის მსხვერპლი მოწყვლად ვითარებაშია. ტრადიციული მედიისაგან განსხვავებით, მსხვერპლს არ შეუძლია იოლად დაადგინოს ცილისმწამებლის ვინაობა, რადგან შესაძლებელია ფსევდო ან ცრუ ვინაობით სარგებლობა.

სამართალი

I. კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლების საგარაუდო დარღვევა

35. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით მომჩივანი ჩიოდა, რომ ადგილი ჰქონდა მის პირად ცხოვრებაში ჩარევას და რომ არ არსებობდა არანაირი ქმედითი გასაჩივრების საშუალება, რათა გამოვლენილიყო იმ პირის ვინაობა, რომელმაც ცილისმწამებლური ტექსტი ინტერნეტში მისი სახელით განათავსა კონვენციის მე-13 მუხლის საწინააღმდეგოდ.

მე-8 მუხლის მიხედვით:

"1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად."

მე-13 მუხლის მიხედვით:

"ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა."

ა. მხარეთა არგუმენტები

36. მომჩივანი აღნიშნავდა, რომ იმ დროისათვის მოქმედი ფინური კანონმდებლობა იცავდა დამნაშავეს, მაშინ როდესაც მსხვერპლს არ გაჩნდა არანაირი საშუალება გამოეწორებინა ვითარება ან დაცული ყოფილიყო პირადი ცხოვრების დარღვევისაგან. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით გასაჩივრებული ქმედება დასჯადი გახლდათ, თუმცა მთავრობამ უგულვებელყო მისი ვალდებულება უზრუნველყო ტელეკომუნიკაციებში პირადი ცხოვრებისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის აქტისა და იძულებით ღონისძიებათა აქტის დებულებების შესაბამისობა ურთიერთთან. იგი დავობდა, რომ სამოქალაქო ზიანისათვის კომპენსაციის საშუალება, მიღებული მესამე მხარისაგან, არ გახლდათ საკმარისი მისი უფლებების დასაცავად. იგი ხაზს უსვამდა, რომ მას არ გააჩნდა საშუალება დაედგინა იმ პირის ვინაობა, რომელმაც განათავა განცხადება ინტერნეტით. მაშინ, როდესაც კომპენსაცია რიგ შემთხვევებში ქმედით მისაგებელს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის აღნიშნული მისაგებელი გაცემული იმ პირის მიერ, რომელმაც დაარღვია მსხვერპლის უფლებები. მოცემული საჩივრის შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მთავრობის მიხედვით, ამოქმედებული გახლდათ ახალი კანონმდებლობა, რომელიც ძალაში რომ ყოფილიყო აღნიშნული მოვლენების დროს, წინამდებარე სარჩელს ძალას დაუკარგავდა. მომჩივნის აზრით, მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი არგუმენტი მათ მიერ, კონკრეტულ დროს, დაუცველობის გასამართლებლად. ამიტომაც, მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 და მე-13 მუხლების დარღვევას.
37. მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ მოცემულ საქმეში მომჩივნის პირად ცხოვრებაში ჩარევა განხორციელებულ იქნა სხვა ინდივიდის მიერ. გასაჩივრებული აქტი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით მიჩნეულ იქნა ინფორმაციის ბოროტი განზრახვით დამახინჯებად, რის გამოც იგი დასჯადი იქნებოდა და იქონიებდა შემაკავებელ გავლენას. გამოძიება დაიწყო იმ პირის ვინაობის დასადგენად, რომელმაც განცხადება განათავსა ინტერნეტით, მაგრამ წარუმატებელი შეიქნა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის გამო, რომელიც იცავდა გამოხატვის თავისუფლებასა და ანონიმურად გამოხატვის უფლებას. კანონმდებლობა იცავდა ანონიმური ინტერნეტ შეტყობინების გამკეთებელს იმდენად, რომ აღნიშნული დაცვა ვრცელდებოდა იმ ტექსტზეც, რომელიც შესაძლებელია იწვევდა სხვა პირის პირად ცხოვრებაში ჩარევას. დაცვის მოცემული გვერდითი-- შედეგი გამოწვეული გახლდათ იმ ფაქტით, რომ კარგად განსაზღვრული არ გახლდათ შეტყობინების პირად ცხოვრებაში ჩარევის არსი და, შედეგად, შესაძლებელი არ გახლდათ ამგვარი შეტყობინებების კანონისმიერი დაცვის სფეროდან ამოღება. თუმცა, არსებობდა სხვა საშუალებები, რათა მომხდარიყო ვითარების გამოსწორება, მაგალითად პერსონალურ მონაცემთა აქტი, რომელიც აწესებდა დაცვას ინფორმაციის ბოროტი განზრახვით დამახინჯებისაგან იმდენად,

რამდენადაც სერვერის ოპერატორს, მოცემული აქტის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების დამდგენი დებულებების საფუძველზე, ეკისრებოდა ვალდებულება უზრუნველყო, რომ მის მიერ ჩაწერილი სენსიტიური მონაცემები დამუშავებული ყოფილიყო მონაცემთა სუბიექტის ნებართვით. ამასთანავე, მართალია პერსონალური მონაცემების დანაშაულები ხანდაზმული იყო, მომჩივანს მაინც ჰქონდა საშუალება მოეთხოვა კომპენსაცია განცხადების გამომქვეყნებლისაგან. შედარებისათვის, საქმეში *X and Y v. the Netherlands* (1985 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება, Series A no.91) ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა, ნაკლებად სერიოზული დანაშაულის კონტექსტში სარგებლობდა საკმარისი შემაკავებელი გავლენით. დამატებით, მომჩივნისათვის ხელმისაწვდომი გახლდათ სხვა მექანიზმებიც, მაგალითად წინასწრი საპოლიციო გამოძიება, დევნა, სასამართლო წარმოება და ზიანის ანაზღაურება.

38. მთავრობამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი გახლდათ იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო ვითარების გააზრება სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით, როდესაც იწყებოდა ინტერნეტით სარგებლობის სწრაფი ზრდა. ახლანდელი კანონმდებლობა, მასმედიაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის აქტი (ნაწილები 2 და 17), რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 1 იანვარს, პოლიციას უფრო ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში ანონიმური ინტერნეტ ტექსტის გამომქვეყნებლის დაცვის წინააღმდეგ. ახალი კანონმდებლობა ასახავს კანონმდებლის რეაქციას სოციალური განვითარების მიმართ, სადაც ინტერნეტის გაზრდილი - და ამასთანავე გაუკუღმართებული - მოხმარება ითხოვს დაცვის ზღვარის ხელახალ განმარტებას. შესაბამისად, საზოგადოებაში შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით, კანონმდებლობამ გააძლიერა პირადი ცხოვრების დაცვა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში, განსაკუთრებით კი ანონიმური ინტერნეტ შეტყობინებების გამომქვეყნებელთა დაცვასთან დაკავშირებით.
39. თუმცა, მოცემულ საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა მომჩივანს სთავაზობდა მოქმედების საშუალებას პირადი ცხოვრების წინააღმდეგ შეტყობინების გავრცელების წინააღმდეგ, იმდენად რამდენადაც ინტერნეტ სერვერის ოპერატორი, რომელმაც მოახდინა შეტყობინების გამოქვეყნება, კანონის საფუძველზე ვალდებული გახლდათ დაეზუსტებინა, რომ კონკრეტული პირი თანახმა იყო დამუშავებულიყო მასთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაცია ოპერატორის სერვერზე. აღნიშნული ვალდებულება ძლიერდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობითა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებით. შესაბამისად, კანონმდებლობა მომჩივანს სთავაზობდა პირადი ცხოვრების საკმარის დაცვასა და ქმედითი სამართლებრივი გასაჩივრების საშუალებებს.

ბ. სასამართლოს შეფასება

40. სასამართლო პირველ რიგში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმ დროისათვის მომჩივანი გახლდათ 12 წლის არასრულწლოვანი, რომელიც შეიქნა ინტერნეტ პაემნების ვებ-გვერდზე სექსუალური განცხადების სუბიექტი. იმ პირის ვინაობა, რომელმაც განათავსა განცხადება ვერ იქნა გარკვეული ინტერნეტ პროვაიდერისაგან, იმ დროს არსებული კანონმდებლობის გამო.
41. მე-8 მუხლის გამოყენებას მხარეები არ ასაჩივრებენ: საჩივრის საფუძველში არსებული ფაქტები ეხება "პირად ცხოვრებას", ცნებას, რომელიც მოიცავს პირის ფიზიკურ და მორალურ ერთიანობას (იხ. *X and Y v. the Netherlands*, ციტირებული ზემოთ, § 22). მართალია მოცემულ საქმეს ეროვნული კანონმდებლობა განიხილავს მხოლოდ ინფორმაციის ბოროტი განზრახვით დამახინჯებად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა პირადი ცხოვრების მოცემულ ასპექტების ხაზგასმა, ითვალისწინებს რა გასაჩივრებული ვითარების შედეგად მომჩივნის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ სავარაუდო საფრთხეს და მის მოწყვლადობას მცირე ასაკის გათვალისწინებით.
42. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ მართალია მე-8 მუხლის უპირატესი მიზანი გახლავთ პირის დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მის პირად ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისაგან, იგი სახელმწიფოებს არ ავალდებულებს მხოლოდ თავი შეიკავონ ამგვარი ჩარევისაგან: ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად არსებობს პოზიტიური ვალდებულებებიც, რომელიც წარმოადგენს პირადი თუ ოჯახური ცხოვრების ეფექტური პატივისცემის განუყოფელ ნაწილს (იხ. *Airey v. Ireland*, გადაწყვეტილება 9 ოქტომბერი 1979, სერია 32, § 32).
43. მოცემული ვალდებულებები შესაძლებელია მოიცავდეს თვით ინდივიდებს შორის პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფასაც. არსებობს პირადი ცხოვრების პატივისცემის უზრუნველყოფის სხვადასხვა გზები და სახელმწიფოს ვალდებულების ბუნება დამოკიდებული იქნება განხილვადი პირადი ცხოვრების გარკვეულ ასპექტებზე. მაშინ როდესაც ინდივიდების ქმედებების საპასუხოდ მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველყოფი ზომები უპირატესად სახელმწიფოს შეფასების ზღვარში ხვდება, ეფექტური შემაკავებელი ზომები მძიმე ქმედებების წინააღმდეგ, როდესაც პირადი ცხოვრების ფუნდამენტური ღირებულებები და ძირითადი ასპექტები დგას დღის წესრიგში, საჭიროებს ეფექტურ სისხლის სამართლებრივ დებულებებს (იხ. *X and Y v. the Netherlands*, §§ 23-24 და 27; *August v. the United Kingdom* (dec.), no. 36505/02, 21 იანვარი 2003, და *M.C. v. Bulgaria*, no. 39272/98, § 150, ECHR 2003 XII).

44. ეროვნული ხელისუფლების ხელთ არსებული შეფასების ზღვარი დამოკიდებულია კონვენციის დებულებებზე. მათი განმარტებისას, იმის გამო, რომ კონვენცია პირვალ რიგში და უპირატესად გახლავთ ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა, სასამართლომ უნდა გაითალისწინოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში მიმდინარე ცვალებადი გარემოებანი და პასუხი უნდა გასცეს სხვადასხვა ახალ საკითხს იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის მიღწევაც სასურვალად მიაჩნია (იხ. *Christine Goodwin v. the United Kingdom* [GC], no. 28957/95, § 74, ECHR 2002-VI).
45. სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია მოცემული საქმე ვერ *X and Y v. the Netherlands* მასშტაბს, სადაც მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა უნარშეზღუდული გოგონას გაუპატიურებისას ეფექტური სისხლისსამართლებრივი სასჯელის არარსებობის გამო, მიუხედავად ამისა, საქმე ტრივიალურად მაინც ვერ ჩაითვლება. ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახლდათ და ეხებოდა არასრულწლოვნს, რომელიც შეიქნა პედოფილების სამიზნე (იხ. პარაგრაფი 41, ზემოთ).
46. მთავრობა აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის ოპერატორის სერვერიდან ვერ მოხდა დამნაშავის დასადგენად აუცილებელი ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება. მათ აღნიშნეს, რომ დაცვა არსებობდა სისხლის სამართლის დანაშაულის ინფორმაციის ბოროტი განზრახვით დამახინჯებად კვალიფიცირების გამო და იმ საშუალებით, რომ სისხლის სამართლის სარჩელი შესაძლებელია აღძრულიყო ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარდგენილიყო სერვერის ოპერატორის წინააღმდეგ. რაც შეეხება მას, სასამართლო აღნიშნავს, რომ დანაშაულად კლასიფიკაციის არსებობას შეზღუდული შემაკავებელი ეფექტი აქვს, თუკი არ არსებობს რეალური დამნაშავის ვინაობის დადგენის საშუალება და მისი პასუხისმგებლობაში მიცემა. აქ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არ გამოურიცხავს იმის ალბათობა, რომ მე-8 მუხლით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებანი მოიცავს ინდივიდის ფიზიკური და მორალური ხელშეუვალობის გარანტირებას, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს სისხლისსამართლებრივი გამოძიების ეფექტურობას მაშინაც კი, როდესაც არ დგას სახელმწიფოს წარმომადგენელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი (იხ. *Osman v. the United Kingdom*, გადაწყვეტილება 28 ოქტომბერი 1998, *Reports of Judgments and Decisions* 1998-VIII, § 128), სახელმწიფოებს გააჩნიათ კონვენციის მე-8 მუხლის განუყოფელი პოზიტიური ვალდებულება დასჯადად შერაცხონ პირის წინააღმდეგ დანაშაულები, მათ შორის მათი ჩადენის მცდელობაც, და შედეგად გააძლიეროს კრიმინალიზების შემაკავებელი ეფექტი სისხლისსამართლებრივი დებულებების პრაქტიკაში ეფექტიანი გამოძიებისა და გასამართლების გზით გამოყენებით (იხ. *mutatis mutandis*, *M.C. v. Bulgaria*, ციტირებული ზემოთ, § 153). იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვის ფიზიკურ და მორალურ კეთილდღეობასთან, აღნიშნულ აკრძალვას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ეკისრება. ამ მხრივ სასამართლო იხსენებს, რომ გახლავთ სექსუალური დანაშაულის უდავოდ სამიზნელი

ფორმა, რომელსაც მსხვერპლზე მნიშვნელოვნად დამაკნინებელი გავლენა აქვს. ბავშვები და სხვა მოწყვლადი პირები უფლებამოსილნი არიან სახელმწიფოსაგან მიიღონ პირადი ცხოვრების ესოდენ მნიშვნელოვან ასპექტებში ჩარევის სერიოზული ფორმებისაგან დაცვა ეფექტური შემაკავებლის ფორმით (იხ. *Stubbings and Others v. the United Kingdom*, 22 ოქტომბერი 1996, § 64, *Reports* 1996-IV).

47. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს მასზედ, რომ მომჩივანს გააჩნდა საშუალება მიეღო ზიანის ანაზღაურება მესამე მხარისაგან, კერძოდ კი სერვისის პროვაიდერისაგან, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული არ გახლდათ საკმარისი. ნათელია, რომ როგორც საჯარო ინტერესი, ისევე ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური დანაშაულის მსხვერპლთა ინტერესი, საჭიროებს მისაგებელს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგენილ იქნას რეალური დამნაშავის ვინაობა და მოხდეს მისი პასუხისგებაში მიცემა. მოცემულ შემთხვევაში ეს გახლავთ პირი, რომელმაც მომჩივნის სახელით განათავსა განცხადება, ხოლო მსხვერპლი კი უფლებამოსილია ფინანსური რეპარაციები სწორედ მისგან მიიღოს.
48. სასამართლო იაზრებს, რომ თანამედროვე საზოგადოებებში რეგულირების სირთულის გათვალისწინებით, პოზიტიური ვალდებულების განმარტება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ შეუძლებელი ან არაპროპორციული ვალდებულებანი არ დაეკისროს ხელისუფლებას, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელს. ამასთანავე, ასევე მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნას დანაშაულის კონტროლის, პრევენციისა და გამოძიების უფლებამოსილებანი რაც იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ სრულად მოხდეს კანონით დადგენილი პროცედურისა და იმ სხვა კანონიერი გარანტიების პატივისცემა, რომელიც შეზღუდვებს აწესებს დანაშაულის გამოძიებასა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემაზე, მათ შორის კონვენციის მე-8 და მე-10 მუხლში მოცემული გარანტიები, რომლებზე დაყრდნობაც შეუძლიათ დამნაშავეებსაც. სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის არგუმენტს მასზედ, რომ ნებისმიერი საკანონმდებლო პრობლემა განხილულ უნდა იქნას იმ დროს მოქმედ სოციალურ კონტექსტში. სასამართლო ამავდროულად აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1999 წელს, ანუ იმ დროს, რომდესაც კარგად იყო ცნობილი, რომ ინტერნეტი, სწორედ რომ მისი ანონიმური ხასიათის გამო, შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი მიზნებისათვის (იხ. პარაგრაფები 22 და 24, ზემოთ). ამასთანავე, ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფართოდ გავრცელებული პრობლემაც შემდეგ ათწლეულში გახდა ცნობილი. შესაბამისად, რთულია ითქვას, რომ მოპასუხე მთავრობას არ ჰქონდა საშუალება მოეწესრიგებინა იმ მსხვერპლ ბავშვთა დაცვის სისტემა, რომლებიც ინტერნეტით შეიქნენ პედოფილიის მსხვერპლნი.

49. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის პრაქტიკული და ეფექტური დაცვა საჭიროებდა ეფექტური ზომების მიღებას იმ პირის დასადგენად და დასასჯელად, რომელმაც განათავსა განცხადება. მოცემულ საქმეში ამგვარი დაცვა ვერ იქნა უზრუნველყოფილი. კონფიდენციალურობის დაცვის მოთხოვნის საფუძველზე ვერ განხორციელდა ეფექტური გამოძიება. მართალია გამოხატვის თავისუფლება და კომუნიკაციების კონფიდენციალურობა მთავარი არგუმენტები გახლდათ და მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომუნიკაციებისა და ინტერნეტის სერვისების მომხმარებლეს უნდა გააჩნდეთ საკუთარი პირადი ცხოვრებისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემის გარანტია, ამგვარი გარანტია ვერ იქნება აბსოლუტური ხასიათის და უნდა ითვალისწინებდეს სხვა ლეგიტიმურ მოთხოვნებს, მაგალითად, არეულობისა თუ დანაშაულის პრევენციას და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. იმაზე გავლენის მოხდენის გარეშე, თუ რამდენად ხვდება იმ პირის ქცევა, რომელმაც განათავსა ცილისმწამებლური განცხადება ინტერნეტით, მე-8 და მე-10 მუხლების დაცვის ქვეშ და მიუხედავად მისი დანაშაულებრივი ბუნებისა, კანონმდებელი ვალდებულია გაითვალისწინოს ის სხვადასხვა მოთხოვნები, რომელიც დაცვას საჭიროებს მოცემულ კონტექსტში. ასეთი მოქმედების სისტემა არ არსებობდა განხილული ვითარების ჩადენის დროს, რის შედეგადაც ფინეთის პოზიტიური ვალდებულება მომჩივანთან დაკავშირებით ვერ იქნა შესრულებული. მოცემული ნაკლოვნება მოგვიანებით გამოსწორდა. თუმცა, მასმედიაში გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის აქტით (იხ. პარაგრაფი 21 ზემოთ) შექმნილი მექანიზმები დაგვიანებული გახლდათ მომჩივნისათვის.

50. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას.

51. მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის გათვალისწინებით, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს განიხილოს თუ რამდენად ჰქონდა ადგილი მე-13 მუხლის დარღვევას (იხ. სხვა მრავალს შორის, *Sallinen and Others v. Finland*, no. 50882/99, §§ 102 და 110, 27 სექტემბერი 2005, და *Copland v. the United Kingdom*, no. 62617/00, §§ 50-51, ECHR 2007-...).

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

52. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

"თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია ან მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა,

საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს მიაკუთვნებს სამართლიან დაკმაყოფილებას."

ა. ზიანი

53. მორლური ზიანისათვის მომჩივანი ითხოვდა 3,500 ევროს მიყენებული ტანჯვისათვის.
54. მთავრობა აცხადებდა, რომ კომპენსაცია უნდა განსაზღვრულიყო არაუმეტეს 2,500 ევროთი.
55. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ნამდვილად განიცადა მორალური ზიანი. იგი თვლის, რომ სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ დარღვევის დადგენა და რომ, შესაბამისად, უნდა გაიცეს კომპენსაცია. სამართლიან საწყისზე განხილვის საფუძველზე, იგი მომჩივანს მიაკუთვნებს 3,000 ევროს.

ბ. სასამართლო ხარჯები

56. ეროვნული და სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების ხარჯების ასანაზღაურებლად მომჩივანი ითხოვდა 2,500 ევროს.
57. მთავრობას აინტერესებდა, თუ რამდენად წარმოადგინა მომჩივანმა მოთხოვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
58. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 წესის მიხედვით არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი დოკუმენტაცია. შესაბამისად, იგი არ აკმაყოფილებს მოცემულ მოთხოვნას.

გ. საურავი

59. სასამართლო თვლის, რომ საურავი უნდა განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.

ამის საფუძველზე სასამართლო ერთხმად

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი;
2. ადგენს, რომ საჭირო არ გახლავთ საჩივრის განხილვა კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე;
3. ადგენს:
 - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში, კონვენციის 44 §2 მუხლის შესაბამისად მომჩივანს მორალური ზიანისათვის უნდა გადაუხადოს 3,000 (სამი ათასი) ევრო, რასაც ემატება ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხას შეიძლება დაეკისროს.
 - (ბ) ზემოხსენებული სამი თვის გასვლიდან ანაზღაურებამდე, თანხას დაეკისრება საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის სესხის საშუალო განაკვეთის ოდენობით, პლიუს სამი პროცენტი.
4. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და შეტყობინებულია წერილობით 2008 წლის 2 დეკემბერს, სასამართლო რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად.

ლორანს ერლი

ნიკოლას ბრატცა

სასამართლო გამწესრიგებელი

პრეზიდენტი

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.